10534/1-6/21 2 19102021

10534/1-6/21
19-10-2021

სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორს

ბატონ გიორგი წოწკოლაურს

ბატონო გიორგი,

რამდენადაც სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლება-მოვალეობებს განეკუთვნება სოციალური დახმარების მიზნობრივი პროგრამების განხორციელება და მისი ხელშეწყობა, ასევე სოციალური დახმარების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა და აღრიცხვა, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

- სტატისტიკური მონაცემები სოციალურად დაუცველი ოჯახების რა ნაწილს შეადგენენ მარტოხელა დედის სტატუსის მქონე პირები. (გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად, სოციალურად დაუცველი ოჯახების სრული რაოდენობისა და მარტოხელა დედის სტატუსის მქონე პირების რაოდენობის წილობრივი მონაწილეობის მითითებით)

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ლევან იოსელიანი

საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

ს/კ 202178927

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY

KA030488866264921

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/10949 **03 / ნოემბერი / 2021 წ.**

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ ლევან იოსელიანს

ბატონო ლევან,

სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხილულ იქნა თქვენი წერილი (დოკ. N 10534/1-6/21, 19.10.2021 წ.), სოციალურად დაუცველი, „მარტოხელა დედის“ სტატუსის მქონე პირების თაობაზე საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით.

თქვენ მიერ დასმულ საკითხთან დაკავშირებით, სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ რომ, მიმდინარე წლის ოქტომბრის თვის მდგომარეობით, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულია 5 007 ოჯახი, რომელთა შემადგენლობაშიდაც ფიქსირდება „მარტოხელა დედის“ სტატუსის მქონე 5 042 პირი, რაც შეადგენს რეგისტრირებულ ოჯახთა საერთო რაოდენობის 1,44 %-ს და რეგისტრირებულ პირთა 0,47 %-ს. მათ შორის: ფულადი სოციალური დახმარების - „საარსებო შემწეობის“ მიმღებთა შორისაა 3 682 ოჯახი „მარტოხელა დედის“ სტატუსის მქონე 3 710 პირის შემადგენლობით, რაც შეადგენს საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახთა 2,14 %-სა და საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა 0,59 %-ს.

პატივისცემით,

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან გოგოძე